უფლების დათმობის ხელშეკრულება

წინამდებარე უფლების დათმობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) შედგენილია 2017 წლის 20 თებერვალს („ხელმოწერის დღე“).

შემდეგ მხარეთა შორის

(1) შ.პ.ს. „დელტა-ნეტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404398503), იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი გაფრინდაულის 2, კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი მისი დირექტორის გია კოშორიძის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „ცედენტი“,

(2) შ.პ.ს. „მაგთიკომი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204876606) იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა 7, კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას სახით, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ცესიონერი“, და

(3) ააიპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (საიდენტიფიკაციო კოდი 405026877) შემდგომში მოხსენიებული, როგორც „შემსყიდველი “

ყველა მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“.

ვინაიდან, შემსყიდველსა და *ცედენტს* შორის 2016 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით („მომსახურების ხელშეკრულება“) N 16/100 განსაზღვრული პირობებისა და წესების შესაბამისად, *ცედენტი* ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას უწევს *შემსყიდველს* („მომსახურება“);

ვინაიდან, ცედენტს განზრახული აქვს გაყიდოს *ცესიონერზე,* ხოლო *ცესიონერს* განზრახული აქვს იყიდოს გარკვეული საოპერაციო აქტივები, რომლის საშუალებით ხორციელდება *მომსახურების* მიწოდება („აქტივების გადაცემა“). შესაბამისად, *ცედენტს* სურს, გადასცეს *მომსახურების ხელშეკრულებით* გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები *ცესიონერს,* ხოლო *ცესიონერს* სურს იტვირთოს *მომსახურების ხელშეკრულებით* განსაზღვრული *ცედენტის,* მოვალეობები და ვალდებულებები;

ვინაიდან, შემსყიდველისთვის ცნობილია *ცედენტისა* და *ცესიონერის* განზრახვა, *ცედენტსა* და *ცესიონერს* შორის *აქტივების გადაცემის* შესახებ და ამ მიზნით, *შემსყიდველი* თანახმობას აცხადებს, შეიბოჭოს *მომსახურების ხელშეკრულებით* და იტვირთოს *მომსახურების ხელშეკრულებით* განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები *ცესიონერის* მიმართ;

ვინაიდან, აქტივების გადაცემა განხორციელდება 2017 წლის 1 მარტს („ძალაში შესვლის თარიღი“);

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, *მხარეები* ადასტურებენ და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ძალაში შესვლის თარიღზე და აღნიშნული თარიღიდან *ცედენტი* გადასცემს *ცესიონერს მომსახურების ხელშეკრულებით* განსაზღვრულ ყველა თავის უფლებასა და ინტერესს.

2. ძალაში შესვლის თარიღზე და აღნიშნული თარიღიდან, *ცესიონერი* ხდება მომსახურების ხელშეკრულების მხარე და თანხმობას აცხადებს გააგრძელოს მომსახურების მიწოდება, ხოლო თავის მხრივ *შემსყიდველი* თანხმობას აცხადებს გადაუხადოს *ცესიონერს მომსახურების ხელშეკრულების* საფუძველზე არსებული დავალიანება/მომსახურების საფასური, რომელიც წარმოიშვა *ძალაში შესვლის თარიღამდე* და შემდგომ პერიოდში, აგრეთვე თანხმობას აცხადებს კეთილსინდისიერად დაიცვას *მომსახურების ხელშეკრულებით* გათვალისწინებული პირობები.

3. *მხარეები,* წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აღიარებენ, რომ *მხარეების* მიერ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულება და შესრულება, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგებების შესრულება არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს რომელიმე მხარის სადამფუძნებლო აქტის, წესდების, ან რაიმე სხვა სახის ორგანიზაციული დოკუმენტის, აგრეთვე იმ კანონის ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, რომლებიც ვრცელდება ასეთ მხარეზე, რაიმე სახის დარღვევას ან შეუსრულებლობას.

4. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა მისი ხელმოწერის დღეს *მხარეთა* უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ძალაში შედის ძალაში შესვლის თარიღზე.

5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

ცედენტის სახელით

შპს „მაგთიკომი“
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ N7
საიდ.კოდი: 204876606
ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი № UGEBGE22
ა/ა GE73VT6600000000423607
გენერალური დირექტორის მოადგილე
გია კოშორიძე

/----------/

ცესიონერის სახელით

ანდრია ზოდელავა

/----------/

შემსყიდველის სახელით

ვახტანგ ჭედიშვილი

/----------/